მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო...

გადეყარა ნარიყალას
სიაატუჰმ,
ნაცრიანი ბური...
ხაში,
ხილი
და თონიდან ამოყრილი პური,
თაბახი და საზანდარი,
მზე შინა და გარეთ –
ეგებება მზეს თბილისი
თავის ექვსი კარით...

მიეგებეთ,
ვინც დამწვარა,
როგორც საათნავა'
განა გიცდის სიყვარული,
ხურჯინს!...
ადგება და წავა
სიმღერებით
მაგრამ ისევ ილაპლაპებს
მტკვარის ლურჯი გავა.
ჩაწობილი
ქაშუეთის ჩუქურთმები
ფასკუნჯების თავად!

განა გასძლებს

ვაი: შენი ბრალი!
ხელებ შუა გაქანდება
ვით ნიაღვრის წყალი,

ისევ ისე დამწიფდება
ვერის ბაღში ბალი,
აბანოდან ამაივლის
თვალციმციმა ქალი.

განა ლექსი ლექსი არი,
თუ დარჩება მუნჯი
პოეტებო,
გულსაც უნდა
ბერტყვა, როგორც

ჰკივის თათრულ

მწველი ეთიმ–გურჯი,
სწვეთს ღვინოში

ფიროსმანის ფუნჯი.

მიეგებეთ ოქროს მტვერში,
სიტყვა უნდა განდაგანა,
ბესიკსა და საათნავას
სიყვარული სწამდათ განა:=
ხმაში უნდა ვეფხვის ძალი, –
სამაია სამთაგანა!

მაგრამ ლექსი გადურჩება
იმ ძველ ნაჩრდილარს:=
სახედარზე წითელ ბოლოკს
და ჭიანურს მტირალს,
მეტივეს და თივის ურემს,
წყნეთურ მაწვნის ქილას:= –

მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო,
ამ თბილისის დილას ⊐